პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 თებერვალი კვირა 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 35 (15856)

ზუშინ თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა.

თბილისი. 1974 წლის 9 თებერვალი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშის გადაცემა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის. ვლ. გინზბურგის („კომუნისტი") და საქინფორმის ფოტო.

საქართველოს მშრომელთა კოლექტივების შრომის ზუსტი რიტმი და აწყობილი შემოქმედებითი მუშაობა 1974 წლის პირველი დღეებიდანვე მოწმობს, რომ ისინი მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ საერთო-სახალხო ბრძოლაში პარტიის დიადი მიზნებისათვის, საქმით გაამართლონ მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის მიცემული სიტყვა.

დაე საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის შრომითმა წვლილმა ხელი შეუწყოს საბჭოთა სამშობლოს ახალ აყვავებას, ყველა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობასა და ბედნიერებას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ამ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი აჯამებენ ხუთწლედის მეხუთე წლის შედეგებს, სულ უფრო აქტიურად აჩაღებენ დიდ შემოქმედებითს მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებსაც საფუძვლად უდევს ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის პრინციპული დებულებები და დასკვნები, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმები, ჩვენ, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილენი და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ვუპატაკებთ, რომ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ და მშრომელმა ინტელიგენციამ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით 1973 წელი აღნიშნეს მნიშვნელოვანი წარმატებებით რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში, თვითეული შრომითი კოლექტივის ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღებაში. გაიზარდა რესპუბლიკის ეკონომიური პოტენციალი და მისი წვლილი საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ამავე დროს ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების მთელი საქმიანობის მტკიცე გარდაქმნისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის, ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის, წარმოების ყველა რეზერვის გამოვლინებისა და გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ნაკლები დანახარჯებით უკეთესი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის მუშაობას დღენიადაგ უნდა სრულყოფდეთ და ვაღრმავებდეთ.

საბჭოთა საქართველოს ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხუთწლედის მეოთხე წელი აღნიშნონ ახალი შრომითი გამარჯვებებით. ჩვენ რეალურად ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი, ვიკისრეთ დღეს სოციალისტური ვალდებულებანი და რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით აღვუთქვამთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ კიდევ უფრო მაღლა აღვმართავთ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების დროშას და ვადამდე, 26 დეკემბრისათვის შევასრულებთ 1974 წლის ყველა გეგმასა და გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, შევქმნით მტკიცე საფუძველს მოლიანად ხუთწლედის ყველა დავალების უთუო შესრულებისათვის.

გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით განხორციელების საიმედო გარანტიაა პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომელიც გამოიწვიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, შრომის დიდების ორდენებისა და „შრომის ვეტერანის" მედლის დაარსებამ, რაც მკაფიოდ მოწმობს პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვასა და ყურადღებას მშრომელი ადამიანებისადმი, რაც მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის დამსახურების მაღალი შეფასებაა; საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშის მინიჭებამ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა გამარჯვებისა და 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივების შრომის ზუსტი რიტმი და აწყობილი შემოქმედებითი მუშაობა 1974 წლის პირველი დღეებიდანვე მოწმობს, რომ ისინი მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ საერთო-სახალხო ბრძოლაში პარტიის დიადი მიზნებისათვის, საქმით გაამართლონ მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის მიცემული სიტყვა.

დაე საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის შრომითმა წვლილმა ხელი შეუწყოს საბჭოთა სამშობლოს ახალ აყვავებას, ყველა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობასა და ბედნიერებას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

მიიღო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით გამართულმა პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკურმა კრებამ.

დიდება შრომას, დიდება მშრომელ კაცს

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით

9 თებერვალი თბილისში დიდი დღე იყო. სამრეწველო ცენტრებიდან და ნაყოფიერი ველებიდან, სუბტროპიკული რაიონებიდან და კავკასიონის მთიანეთიდან საქართველოს დედაქალაქში ნამოვიდნენ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის მონაწილენი და ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი.

თბილისელები გულთბილად შეხვდნენ მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობების, საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებულ ადამიანებს, რომლებმაც სიყვარული და მადლიერება დაიმსახურეს თავიანთი თავდადებული შრომით. მათი პორტრეტები ამშვენებს ქალაქის პროსპექტებსა და ქუჩებს. ტრანსპარანტებზე, ალიფერ ქსოვილებზე წარწერილია მისალმების სიტყვები, ახალ შრომითს გამარჯვებებს უსურვებენ მათ მეცხრე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებაში.

საქართველოს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი. სადაც მიმდინარეობს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით, სადღესასწაულოდ არის მორთული. სცენის სიღრმეში ოთხგზის ორდენოსანი საქართველოს სსრ სახელმწიფო ანსამბლის ფონზე მოჩანს საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის სკულპტურული პორტრეტი.

დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, საბრეწველო საწარმოთა, ტრანსპორტის, მშენებლობათა მუშები, სოფლის მეურნეობის მშრომელები, მეცნიერები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენლები. სტუმრები აზერბაიჯანისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკებიდან, სულ 2.200-ზე მეტი კაცი.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ვ. სმირნოვი, ბ. ვ. გიგაბერია, პ. ვ. ვილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ბ. ვ. მელნიკოვი, ზ. ა. პატარიძე, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ჩუბრაინი, გ. ხ. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. ყარაჯაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ვ. ვასილიევი, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ი. კ. კოზიულია, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. ხეიდოვი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ა. მარტიროსიანი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საბრეწველო საწარმოთა, ტრანსპორტის, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების ნოვატორები, თვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატურა და ხელოვნების მოღვაწეები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

— დღეს ამ დარბაზში, — თქვა ამბ. შევარდნაძემ, — შეიკრიბა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივი ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით.

რესპუბლიკურ კრებას წინ უძღოდა პარტიულ-სამეურნეო აქტივის საოლქო, საქალაქო და რაიონული კრებები, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შეკრებები, რომლებმაც შეჯამეს 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგები, განსაზღვრეს სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი ავტონომიურ რესპუბლიკებში — აფხაზეთსა და აჭარაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, თვითეულ ჩვენს ქალაქსა და თვითეულ რაიონში.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის საოლქო, საქალაქო და რაიონული კრებებმა და შეკრებებმა ჩვენს რესპუბლიკურ კრებაზე გამოგზავნეს თავიანთი 1000-ზე მეტი დელეგატი.

ამრიგად, დღეს ამ დარბაზში შეიკრიბნენ მეცხრე ხუთწლედის მოწინავენი, საუკეთესონი საუკეთესოთა შორის, ისინი, ვინც სოციალისტური შეჯიბრების პირველ რიგებში, წინა ალნაზე, მოწინავე ხაზზე არიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდგომი აღმავლობისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთ მხურვალე მადლობას გიძღვნიან მამაცური, თავდადებული შრომისათვის, გულითადად მოგესალმებიან თქვენ, პარტიულ-სამეურნეო აქტივის დღეგანდელი კრების მონაწილეებს და ყველას გისურვებენ ახალ სახელოვან შრომითს წარმატებებს, ჯანმრთელობასა და დიდ ბედნიერებას!

ამბანაგებო! იანვრის დამლევს ცნობილი გახდა, რომ მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკა შვიდ სხვა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად დაჯილდოებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით.

ყველა ჩვენგანს ახარებს ეს ჯილდო, და განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ეს მაღალი ჯილდო გადმოგვეცემა დღეს ჩვენს კრებაზე. ამ ჩვენთვის სასიამოვნო მისიის შესასრულებლად გვესტუმრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლ. ვ. სმირნოვი. ნება მიბრძანეთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი სახელით სულითა და გულით მივესალმო დიდად პატივცემულ ლეონიდ ვასილის-ძე სმირნოვს.

ჩვენს კრებას ესწრება სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ივანე კორნელის-ძე კოზიულია, რომელიც ჩამოვიდა ადგილებიდან სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთათვის ჯილდოების გადასაცემად, ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, ივანე კორნელის-ძე.

ამ საზეიმო დღისათვის გვეწვივნენ ძვირფასი სტუმრები, ჩვენი ერთგული აზერბაიჯანელი და სომეხი მეგობრები აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ბახან ნიმათისძე სეიდოვისა და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გურასიმე არამაისის-ძე მარტიროსიანის მეთაურობით.

ნება მიბოძეთ მივესალმო ამ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციებს.

თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირს ვ. ა. ბაბანაშვილს წინადადება შემოაქვს აირჩიონ კრების სპატიო პრეზიდიუმი.

შეკრებილნი დიდი აღფაღლობით, ერთსულოვნად, ხანგრძლივი ტაშის გრიალში სპატიო პრეზიდიუმში აირჩევენ სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ლ. ვ. სმირნოვს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, თქვა ლ. ვ. სმირნოვმა, 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და დაადგინეს, რომ დაჯილდოონ იგი წითელი დროშით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სახელით ამბ. სმირნოვმა გულითადად მიულოცა საქართველოს მაღალი ჯილდო შეკრებილთ და მათი სახით საქართველოს მეშაჰთა კლასს, ყველა მშრომელს.

მიღწევები, რომლებსაც მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ, შესაძლებელი გახდა მეგობრი მუშათა კლასის, ინჟინრების, მეცნიერების, წარმოების სოციალისტების დამკვრელური შრომის, მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა დასარაზმავად პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უდიდესი მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდ მუშაობას სახალხო მეურნეობის ყველა. რგოლში პარტიული და საბჭოთა დისციპლინის განმტკიცებისათვის ერთსულოვნად უჭერს მხარს და სავსებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტი. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ეშვიც არ ეპარება, თქვა ორატორმა, რომ ამ ღონისძიებებს შემდგომში კიდევ უფრო საგრძნობი შედეგები მოჰყვება.

შემდეგ ორატორი შეეხო წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია გასულ წელს ჩვენი ქვეყნის და, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შორის, რომლებსაც 1973 წლის შედეგების მიხედვით მიენიჭათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშები, არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაც. გასული წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის შეჯიბრების მსვლელობაში მუშაობის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა ბევრმა კოლექტივმა. ამბ. სმირნოვმა დასახელა ამ შეჯიბრების გამარჯვებულნი, აგრეთვე მთელ რიგ სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებმაც კარგ შედეგებს მიაღწიეს 1973 წელს.

საქართველოს საწარმოებში და მშენებლობებზე შრომობს ნოვატორთა, რაციონალიზატორთა და კომუნისტური შრომის დამკვრელთა დიდი არმია. სამრეწველო წარმოებაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე მოპოვებული წარმატებებისათვის ასობით საუკეთესო მუშაკი დაჯილდოვდა ორდენებით და მედლებით, ხოლო ამათ, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

მაგრამ პარტია გვასწავლის, თქვა შემდეგ ამბ. სმირნოვმა, რომ მუშაობის შედეგების შეჯამებისას თავგანი ყურადღება მიეაქციოთ რეზერვებს, ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებსა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. ნაკლოვანებანი საქართველოს რესპუბლიკაშიც არის. 1973 წელს სამრეწველო საწარმოთა ნაწილმა ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა და საგეგმო დავალებებთან შედარებით დაგვიანო მნიშვნელოვანი ღირებულების პროდუქცია. ჩამორჩენა მეტად საჭირო პროდუქციის — ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, საკეტლე მასალების, შეუყოს, ქსოვილების, ფეხსაცმლისა და ზოგიერთი სხვა ნაკეთობის წარმოება.

მთელ რიგ საწარმოებში შენელდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი. ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო დონეზე მრეწველობაში როგორც ძირითადი წარმოების ისე განსაკუთრებით სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის და სასაწყობო სამუშაოების ავტომატიზაცია და მექანიზაცია.

რესპუბლიკის მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა ვერ შეასრულეს მოგების გეგმა. ეს არის არამწარმოებლური ხარჯების გადიდების, უხარისხო პროდუქციის გამოშვებისა და ხელშეკრულების ბირობების დარღვევისათვის საჯარიმო სანქციების შედეგად მიყენებული ზარალის შედეგი. ჯერ კიდევ არის მდარე ხარისხის ნაკეთობათა გამოშვების შემთხვევები.

სერიოზული ნაკლოვანებანია მშენებლობამიც. ერთი წლის მანძილზე მთლიანად რესპუბლიკაში ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების ხაზით ვერ შესრულდა ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა, აგრეთვე საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმა. არ შესრულებულა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების, საავადყოფოებისა და პოლიკლინიკების მშენებლობის სახელმწიფო გეგმები.

ხუთწლედის დამდეგიდან რესპუბლიკაა შესამჩნევად ჩამორჩა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო წარმოების ზრდის მოცულობისა და ტემპის მხრივ ხუთწლიანი გეგმის დავალებებს. ხუთწლედის დავალებებზე უფრო ნელი ტემპით იზრდება წარმოება რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში, ფერად მეტალურგიაში, ქიმიურ, ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობაში, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში, მსუბუქ და კვების მრეწველობაში. ხუთწლედის დავალებებს ჩამორჩება ელექტროენერგიის წარმოება, ქვანახშირის მოპოვება, მინერალური სასუქების წარმოება, ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებელი მრეწველობა და სხვა დარგები.

მანქანათმშენებლობაში ჯერ კიდევ დაბალია მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი. სათანადო დონეზე ვერ არის საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება. ზოგიერთ საამქროსა და მთელ რიგ საწარმოებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმმა დასახა პარტიისა და საბჭოთა ხა-

(გაგრძელება მე-2 გვ.).

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ქუთაისი, 9 თებერვალი. (საქინფორმის კორ.). ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს საქართველოს ქვანახშირის კომბინატის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 58.600 ტონა ქვანახშირი.

კომბინატმა შარშან მეოთხე კვარტალში — დავალების გადამეტებით გამოუშვა ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია. 8 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და ამ მაჩვენებლების მიხედვით მინენმა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გაოდამავალი წითელი დროშა.

კომბინატის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე შემდინარე წლის იანვრის გეგმა.

ბიათურა. გასული წლის მეოთხე კვარტალში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ და პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა პირველი ადგილი მიაკუთვნა ბიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივს.

მაღალი ჯილდოები ამის პასუხად ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის პირველი დღეებიდანვე კიდევ უფრო ამრავლებენ მოპოვებულ მიღწევებს.

დიდება შრომას, დიდება მშრომელ ჯარს

(გაგრძელება).

ლების ამოცანები მეცხრე ხუთწლედის განსაზღვრულ წელს. მათი წარმატებით შესრულება ბევრად იქნება დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ყველა რგოლისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებაზე, მთელი რეზერვების მობილიზაციაზე, დისციპლინის განმტკიცებასა და დავალებული საქმისადმი თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

1974 წლის გეგმა დაძაბული, მაგრამ რეალური. მის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას განსაზღვრული მნიშვნელობა ექნება მთელი მეცხრე ხუთწლედის გეგმის, სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესრულებისთვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოტენციალისა და თავდაცვითი ძალიერების შემდგომი ზრდისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობისა და ტემპის ამაღლებაში დაშვებული ჩამორჩენის აღმოფხვრის მიზნით 1974 წლის სახალხო-საშეურნეო გეგმით გათვალისწინებული ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა 1971-1973 წლებში მიღწეულ მაჩვენებლებთან შედარებით.

თუ რესპუბლიკის მთელი მრეწველობა დაახლოებით ორი პროცენტის გადაჭარბებით შესრულებს წარმოების გეგმას, 1974 წელს 1973 წელთან შედარებით მატების ტემპი შეადგენს 11 პროცენტს გეგმით გათვალისწინებული 9 პროცენტის ნაცვლად. თუ 1975 წელს შენარჩუნებული იქნა მატების ტემპი 11 პროცენტის ოდენობით, მაშინ ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკის სამრეწველო წარმოება გაიზრდება 40-42 პროცენტით, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების დავალებათა შესრულებას. ამასთან მთელმა რიგმა საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურმა სამინისტროებმა 1971-1973 წლებში უკვე უზრუნველყვეს ეს სამეწველო წარმოების ზრდის უმარაცესი ტემპი ხუთწლიანი გეგმის დავალებების შედარებით. სხვა სამინისტროთა ღირსების სქმეა, რომ 1974-1975 წლებში გაუსწორდნენ მათ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიას, საბჭოთა ხალხს მოუწოდა 1974 წელს გამოუშვას მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია უმცირესი დანახარჯებით, ხუთწლედის ეფოთხე წელი აღნიშნოს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებიც იწონებენ და მხარს უჭერენ მშრომელთა ინიციატივას, მოუწოდეს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წარმართონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა 1974 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისა და 1974 წელს მიწოთმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დაზადების გასადიდებლად მრეწველობის, შენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლისთვის.

პარტიის მოწოდებას დიდი გაგებით ეკიდება ყველა მშრომელი. ისინი სიმონოლი სულისკვეთებით იწყებენ ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანათა რეალიზაციას

მშრომელი ადამიანებისადმი პარტიისა და სახელმწიფოს ყურადღების ახალი გამოვლინებაა „შრომითი დიდების“ ორდენისა და „შრომის ვეტერანის“ მედლის დაწესება, თქვა შემდეგ ამხ. სმირნოვმა. ამ ჯილდოების შემოღება კიდევ უფრო გაზრდის მუშაკიას ავტორიტეტს და დიდ როლს შეასრულებს შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევაში.

თვითეულმა საწარმოო კოლექტივმა უნდა შეიმუშაოს დიდგვინო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი, განიხილოს და მიღოს ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო პროდუქციის წარმოების გადიდების შემცველი გეგმები, ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება და ამით მიაღწიოს მათს განხორციელებას. ეს არის 1974 წლისათვის დასახული მიჯნების მიღწევის საწინდარი.

საბჭოთა კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, თქვა შემდეგ ორატორმა, ძნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო მოვლენათა მსვლელობაზე, სულ უფრო მეტად განსაზღვრავს მსოფლიო განვითარების ძირითად მიმართულებას.

ახლახან დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ვიზიტი ამერიკის პირველ ქვეყანაში, რომელიც აშენებს სოციალიზმს, — კუბაში.

ვიზიტმა გამოიწვია კუბელი მშრომელების უაღრესად დიდი რევოლუციური ენთუზიაზმი და იმპანადგური სოლიდარობა, იგი გახდა ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირისა და კუბის ხელმძღვანელებმა დეკლარაციაში განაცხადეს, რომ სავსებით ერთნაირი შეხედულებანი აქვთ მსოფლიოში თანამედროვე მდგომარეობისა და სოციალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის, სახელმწიფოთა და ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებების დაცვის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების პოლიტიკის ამოცანათა თაობაზე.

სხვადასხვა საზოგადოებრივი წარმოებლების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პროგრამის სულ უფრო ძალად აღიარებენ მთელ დედამიწაზე.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ვიზიტები ამოიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის თვეერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში და ამ ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეებთან უმაღლესი დონის მოლაპარაკები. ამ ვიზიტებმა და მოლაპარაკებამ „ეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინეს მთელ საერთაშორისო ვითარებაზე.

გაუმჯობესდა კლიმატი ევროპის კონტინენტზეც. ევროპაში საბჭოთა კავშირის მშვიდობასმოყვარე ღონისძიებების მეოხებით, არსებითად, აღმოიფხვრა მეორე მსოფლიო ომის შედეგები, დამკვიდრდა არსებული საზღვრების ურღვევობის პრინციპი.

მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარებაში. ეს გამოიხატა უწინარეს ყოვლისა ისეთი ერთობლივი დოკუმენტებით, როგორიცაა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძვლები და ბირთანხმება ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან სსრ კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაციის დაწყებულმა პროცესმა და მის მიერ გამოწვეულმა საერთაშორისო ვითარების საერთო გაჯანსაღებამ საშუალება მოგვცეს მიგვეღწია ომის ორი საშიში ეტაპის ლოკვიდაციისთვის ვიეტნამსა და ახლო აღმოსავლეთში.

ლ. ი. ბრეჟნევის წარმატებით დამთავრებული ვიზიტი ინდოეთში, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მოლაპარაკება და ამასთან ხელმოწერილი დოკუმენტები ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოების საქმეს.

ამხ. ლ. ვ. სმირნოვმა წითელი დროშა გადასცა ამხანაგებს **ე. ა. შევარდნაძეს, გ. დ. ჯავახიშვილს, გ. ს. ძოწენიძეს, თ. ი. მოსაშვილს, ე. კ. შარტავას,** მათთან ერთად არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ი. ნ. ვეკუა,** ქუთაისის ოჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამამართველი, სოციალისტური შრომის გმირი **ი. გ. ხაზარაძე,** ქალაქ ტყვარჩელის ლაკობის სახელობის შახტის სამთო მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ა. ა. ცაბა,** თბილისგვიარაბშვილის მტეხავ სოციალისტური შრომის გმირი **გ. ი. ობოლაძე.** ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი **გ. ი. ჯანიძე.**

კრების მონაწილენი აღტაცებული ოვაციით გამოხატავენ თავიანთ დიდ მადლობას პარტიისა და მთავრობისადმი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის დიდი ზრუნვისა და ყურადღების გამოვლინებაა, თქვა შემდეგ ამხ. სმირნოვმა, ახლახან მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებაში, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანები, შემუშავებულია სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო წარმოების და მშენებლობის განვითარების ტემპის დაჩქარებისა და ეფექტიანობის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები დარაზმავენ რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს დიდმნიშვნელოვან საწარმოო სიმძლავრეთა ფართო ამოქმედების უზრუნველყოფისათვის, მათი უფრო სრული გამოყენებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა უსწრაფესი დანერგვისა და ხელახალი ტექნიკური აღჭურვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპის დაჩქარების გზით.

დასასრულ ამხ. სმირნოვმა შეეხებოდა და მათი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელს კიდევ ერთხელ მიულოცა დამსახურებული მაღალი ჯილდო, უსურვა ჯანმრთელობა. შემოქმედებითი ენერგია, დიდი წარმატებანი მუშაობაში და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

„გაუმარჯოს ოთხჯზის ორდენოსან საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

ალ. მ. ტკაცენკოს ფოტოს

ალ. ტ. ტკაცენკოს ფოტოს

ალ. ტ. ტკაცენკოს ფოტოს

ალ. ტ

დიდება შრომას, დიდება მშრომელ კაცს

(საბრძოლება).

უსურვა ახალი წარმატებანი შრომაში, სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჯანმრთელობა და დიდი პიროვნული ბედნიერება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის, აგრარული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გამარჯვებულად ცნეს და წოდება დროშებით დაჯილდოვეს რესპუბლიკის დედაქალაქი — თბილისი, ქალაქები ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, გორი, ფოთი, ცხინვალი, ტყიბული, გაგრა, ბოლნისის, ვანის, გურჯაანის, ქარელის, ჯასპის, მარნეულის, სამტრედიის, თეძოლოს, ხაშურის, ხელვაჩაურის, ცხაკაიას რაიონები, მთელი რიგი სამინისტროებისა, უწყებები, საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო და ალკკ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელებს, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს 1973 წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებას და წითელი დროშებით დაჯილდოებას.

ჩვენ ყველას კარგად გვესმის, თქვა ორატორმა, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებანი იმ მხლოდ პირველი ნაბიჯებია იმ სერიოზული პრობლემების გადაწყვეტის გზაზე, რომლებიც მომდინარე წელს დგას რესპუბლიკის წინაშე მატერიალური და არამატერიალური წარმოების სფეროებში.

ამიტომ დღევანდელ საზეიმო კრებაზეც ზედმეტი არ იქნება შევეხოთ ჩვენი მუშაობის ჩრდილოეთ მხარეებსა და ხარვეზებს, რომლებიც მარშანაც გვქონდა და რომელნიც ძაძაღვა ეკონომიკასა და კულტურის ყველა დარგში ჩვენი წინსვლის აუცილებელი პირობაა.

ჯერ კიდევ საკმარი ტემპით არ იზრდებოდა სახოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, თანამედროვე დონეს ჩამორჩებოდა წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფის ტემპი. ეს ამოცანები წყდებოდა ძალიან ნელა, მათკენ შემობრუნებას აშკარად აძნელებდა ინერციის ძალა, საწარმოო-სამეურნეო მექანიზმის ნაკლები მოქნილობა.

სახოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება უნდა ხდებოდეს ამოქმედებული ობიექტების საპროექტო საწარმოო სიმძლავრეთა ოპტიმალური ათვისების ბაზით. ამ სერიოზულ საქმეში უკვე დიდი ხანია ძალიან მძიმე მდგომარეობა გვაქვს და, მიღებული ღონისძიებების მიუხედავად, იგი ნელა სწორდება. ამის მედეგია სახალხო მეურნეობის ცალკეული ფონდების ცუდი გამოყენება, რაც შესაბამისად უარყოფით გავლენას ახდენს რესპუბლიკის ეკონომიკაზე.

თუმცა მთლიანად მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში კარგი შედეგებია მიღწეული, მაგრამ ზოგიერთ გაერთიანებასა და მრეწველობის მთელი რიგი დარგების საწარმოებში იგი არათუ არ გაზრდილა, პირიქით, შემცირდა.

ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც შრომის ნაყოფიერების ზრდას აფერხებს, — ეს არის წარმოების ტემპისა და მოცულობის გადიდება არა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გაფართოების ბაზაზე, არამედ მომუშავეთა რიცხვის გაზრდის შედეგად, ესე იგი განვითარების ექსტენსიური ფაქტორების ზეზე.

ჯერ ისევ ხშირად იროვება საგეგმო პოლიტიკა, საგეგმო დისციპლინა. მხედველობაში მაქვს, კერძოდ, წარმოების გეგმების განუწყვეტელი კორექტირება შემცირებისაკენ.

დამაკმაყოფილებლად ჯერ სრულდება მრეწველობისა და მის ცალკეულ დარგებში დავალებანი, რომლებიც ითვალისწინებენ სახოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას — წარმოებაში მეცნიერებისა და არამატერიალური წარმოების სფეროს განვითარების მიტად ფართო და სერიოზულ ღონისძიებებს.

ეს დადგენილება, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ინიციატივით მომზადდა, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. ძნელია გადაჭარბებით შეფასო მისი როლი ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი განვითარებისათვის, მისი ეკონომიური პოტენციალის გადიდებისათვის, მასში ჯათვალისწინებულ ღონისძიებათა მნიშვნელობა. ეს არის უაზლოესი წლებისა და პერსპექტივისათვის დასახული სამუშაოთა უდიდესი პროგრამა.

ჩვენს წინაშე, თქვა ორატორმა, გადაწყვეტილია აღმშენებლობის დიდი, ჭეშმარიტად წარჩინებული პანორამა, და ახლა ამოცანა ის არის, რომ მისი პრაქტიკული ხორციშესხმისათვის შემოქმედებითად გამოვიყენოთ ყველა ჩვენი შესაძლებლობა, მობილიზაცია ვუყოთ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს და მაქსიმალური ქმედითობით გამოვიყენოთ ისინი.

სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების ყველაზე ეფექტიანი საშუალება, ყველაზე ქმედითი ბერკეტია სოციალისტური შეჯიბრება — დიადი საყოველთაო-სახალხო მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის.

ახალი, კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობა მიენიჭა სოციალისტურ შეჯიბრებას, ახალი აზრი და შინაარსი შეეძატა მას ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ჩვენი თვალწინ დგენილ საშობლოს ყოველ კუთხეში ბეჯითად, ძალდონისა და ცოდნის დაუზოგავად შრომობს წათმოქმედების ზოგიერთი პროდუქტის საერთო მთლიანი მოსავალი.

მეცხოველეობის ცუდ მდგომარეობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ სოფლის მეურნეობის ეს დარგი რამდენიმე წელია ზარალიანია და მთლიანად არარენტაბელურია. ბევრი მეურნეობა იძულებულია მეცხოველეობის ზარალი დაფაროს სოფლის მეურნეობის სხვა რენტაბელური დარგების ხარჯზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მთლიანად წარმოებაზე.

სერიოზული ნაკლოვანებანი იყო 1973 წელს კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულების პროცესშიც. ყოველივეს როი ინაკადნენ საეგმო დისციპლინას. სახელმწიფო გეგმა ჯერ კიდევ არ გამხდარა ყანონი რესპუბლიკის ზოგიერთი სამშენებლო და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციისათვის.

ნელი ტემპით წარმოებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრა სამშენებლო წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში. 1973 წელს არ შესრულებულა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დაგალებანი. ამის ძირითადი მიზეზებია შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, ტექნოლოგიური და დამხმარე მოწყობილობისა და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა მიწოდების შეფერხება. სწორედ ამით აიხსნება, რომ დაფმთავრებელი მშენებლობის მიცულობა კი არ მცირდება, არამედ იზრდება.

შარშან ვერ შესრულდა საქონელბრუნვის, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების გეგმები, ჩამორჩებოდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაგალებათა რეალიზაცია, განსაკუთრებით სოფლად.

ჩვენი ეკონომიკის სწრაფი განვითარება გვისახავს სერიოზულ პრობლემებს, რომელთა წარმატებული გადაჭრა ძოითხოვს დიდ ცოდნას, მოქნილობას, ძალ-ღონისა და ენერგიის დაძაბვას, პარტიული ორგანოების დიდ ორგანიზატორულ ნიჭი, უნარი, რომ სწორად, მეცნიერულ საფუძველზე, წარსულის მაგალითებისა და გაკვეთილების გათვალისწინებით გადავწყვიტოთ დიდი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები, აღმოფხვრათ წარსულში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებზეც უკვე ითქვა. ძირეულად უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი საქმიანობა, როძელსაც საფუძვლად უნდა დავუდოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ის ამოცანები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა თავის გამოსვლაში პლენუმზე.

სახალხო მეურნეობისადმი გეგმიან ხელმძღვანელობაში ეკონომიური მეთოდების როლის გადიდება და საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოება უნდა ხდებოდეს დაგეგმვის შემდგომი სრულყოფის საფუძველზე. უნდა გაუმჯობესდეს დაგეგმვის მეთოდები და ბაკეტები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ოპტიმალური სამეურნეო გადაწყვეტანი. გადაჭრით უნდა გავზარდოთ საწარმოო სიმძლავრეების, შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება.

უნდა გახხორციელდეს სოფლის მეურნეობაში წარმოების ინტენსიფიკაციის დაჩქარების ღონისძიებანი, უფრო რაციონალურად უნდა ვიყენებდეთ მაღალნაყოფიერ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, საუკეთესო აგროტექნიკურ ფონებში და მაღალ დონეზე ვაწარმოებდეთ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს. ყველა კოლექტივი და ცალკეული მშრომელები მატერიალურად უნდა დავინტერესოთ, რომ შეიმუშაონ უფრო გადიდებული საეგმო დავალებანი, რომლებიც თვალისწინებენ საწარმო ფონდების, სამუშაო დროის, მატერიალური და ფინანსური რესურსების უფრო სრულად გამოყენებას, ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა დაეუთმოთ საწარმოებში და მშენებლობებზე ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვის ნორმების დაცვისადმი მკაცრი კონტროლის დაწესებას.

საჭიროა კიდევ უფრო მეტი გულმოდგინეობით, პირდაპირობითა და მიზანდასახულობით განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებანი პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ბოლშევიკური მეურნეგებლობით ვაწარმოოთ ბრძოლა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დამკვიდრებისთვის, ფანტაზიისა და ინიციატივის ფეთქვა, ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას, სახელმწიფო და სამეურნეო დისციპლინის განმტკიცებას, პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპების განუხრელ განხორციელებას.

აზერბაიჯანის სსრ მრეწველობამ 21 დეკემბერს უპატაჟა სამშობლოს პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულება.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სახელოვანმა აზერბაიჯანელმა სოფლის მშრომელებმა. შესრულდა ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების გეგმები. სამი წელია ზედიზედ, 1970-72 წლებში ჩვენს რესპუბლიკას სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით ენიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, 1973 წელს კი მის მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორი წითელი დროშა მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

— გუშინ ბაქოში, — განაგრძო ამხ. სეიდოვმა, — გაიმართა წარმოების მოწინავეთა — სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა რესპუბლიკური კრება. კრებამ იკისრა ხუთწლედის მეოთხე წლის მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი. კრებამ გადაწყვიტა განაგრძოს ჩვენი ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება. ეუბნი არ არის, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის შრომელები თავიანთ ღირსეულ შეტანენ ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს შემდგომ აყვავებაში.

— საქართველოს მიღწევები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება შრომას, დიდება მშრომელ ჯარს

(დასასრული)

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

ამ დარბაზში შეიკრიბნენ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო, ყველაზე წარჩინებული ადამიანები, საქართველოს მშვენება და სიამაყე. და დღეს ყველას ეუხარა გული სიამაყით ჩვენი ხალხისათვის, რომელმაც საამშობლოს ალუბარდა ასეთი ერთგული შვილები, ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც ასე ლაღად გრძნობს თავს ხიბქოთა ადამიანი, ჩვენი შრომელური კომუნისტური პარტიისათვის, რომელმაც ასე გაანადიდა მშრომელი კაცი.

ამიტომაა ჩვენს პარტიასა და ჩვენს ქვეყანაში სუფიეს ულორესი ერთსულოვნებისა და მონოლითური შეკავშირების ვითარება, ნამდვილი ამხანაგობის სულისკვეთება. ასეთიგე ატმოსფერო იგრძნობა დღეს ამ დარბაზშიც, და იგი ყველაზე უკეთ გამოხატავს იმ მორალურ-პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ კლიმატს, რომელიც სულ უფრო მკვიდრდება საქართველოს კომპარტიაში, რესპუბლიკის ყველა მშრომელის ცხოვრებაში.

ორატორთა ყოველი დღეანდელი გამოსვლა, ყოველი სიტყვა — ეს იყო უმნიშვნელოვანესი საშეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისადმი ერთმანეთად სახელმწიფოებრივი. პარტიული მიდგომის გამოხატულება; ეს იყო გამოხატულება სოციალისტური დემოკრატიის ზეიმისა, როცა ყოველი საბჭოთა ადამიანი თავს გრძნობს მოქალაქედ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, დაინტერესებულია საყოველთაო-სახალხო საქმით და გრძნობს თავის წილ პასუხისმგებლობას ამ საქმისათვის; ეს იყო გამოხატულება შრომისადმი ახლებური, კომუნისტური დამოკიდებულებისა, როცა საზოგადოების საკეთილდღეო შრომა სულ უფრო მეტად ხდება ყოველი ადამიანის წმიდათაწმიდა მოვალეობა, უფრო მეტიც, მისი უპირველესი სასიცოცხლო მოთხოვნილება.

ჩვენი კრება გადაიქცა ჩვენს საზოგადოებაში შრომის მაღალი ავტორიტეტის მძლავრ, ნათელ დემონსტრაციად, საზოგადოებაში, სადაც სასარგებლო შრომას ყველა პატივს სცემს და აფასებს. დღეს ჩვენ ნამდვილი დღესასწაული, შრომის დიდი და ნათელი დღესასწაული გვაქვს.

განსაკუთრებული საზეიმო ელფერი მინიჭა ჩვენს დღესასწაულს ცერემონიამ, რომლის დროსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა გადასცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლ. ვ. სმირნოვმა.

დიდი ყურადღებით, დიდი ინტერესით მოვისმინეთ დღეს ლეონიდ ვასილის-ძე სმირნოვის სიტყვა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მუშათა კლასის, ჩვენი კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი ინტელიგენციის შრომას. დიდი მადლობა, ძვირფასო ლეონიდ ვასილის-ძეს, გულთბილი, შეგობრული სიტყვებისათვის, კეთილი, გულითადი სურვილებისათვის!

მინდა ერთხელ კიდევ მთელი სულითა და გულით ურომლისო მადლობა ვუძღვნა სამშობლოს მაღალი ჯილდოსთვის და აღვუთქვა შშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, რომ საქართველოს შრომელნი პირნათლად, მაღლა გამოატარებენ ამ ალისფერ დროშას ყველა სიძნელესა და განსაცდელში.

დაე შრომის გამარჯვებათა დიდებით გასხივოსნებული ეს წიფილი დროშა ფარავდეს ჩვენს ხალხს, საქართველოს ყველა შრომელს, აღაფრთოვანებდეს მათ ახალი შრომითი გმირობისათვის კომუნიზმის გამარჯვების საკეთილდღეოდ!

დღეს მინდა ასევე მხურვალედ, მთელი გულით მივულოცო სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დიდ ჯგუფს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორებს, მეცხრე ხუთწლედის მოწინავეებს, პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ, და, უწინარეს ყოვლისა — სოციალისტური შრომის გმირებს, რომლებსაც აქ, ჩვენს კრებაზე საჯაროდ გადაეცათ ჩვენი სამშობლოს უმაღლესი შრომითი წარჩინების ნიშნები.

დაე ბრწყინავდნენ გმირთა ოქროს ვარსკვლავები, დაე მათი სხივების უკანონო შუქი ფენდეს ნათელს მშრომელი ხალხის გზას, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი მწვერვალების, კომუნისტური შრომის ახალ გამარჯვებათა გზას!

ჩვენი პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, ჩვენი შრომის დღესასწაული მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ღირსშესანიშნავ პერიოდში, მთელი საბჭოთა ხალხის უდიდეს წარმატებათა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური სამანო და სვეტური პოლიტიკის დიდ გამარჯვებათა პერიოდში.

ახალ, 1974 წელს ჩვენი ქვეყანა შეიგება თავისი ძალებითა და შემოქმედებითი შესაძლებლობებით აღსავსე, კომუნისტური მშენებლობის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული ძალების განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ეპოქაში. ეს ეპოქა ეფუძნება ბრეჟნევის ეროვნულ-საერთაშორისო სტატუსს, ეფუძნება ბრეჟნევის ფილოსოფიას, ბრეჟნევის ენერგიას, ბრეჟნევის ნებისყოფას, ბრეჟნევის ინტელექტს, ბრეჟნევის ადამიანურ ხასიათს.

ეს ეპოქა ეფუძნება ბრეჟნევის ენერგიულ, ინტენსიურ, ეფექტიან, ეკონომიურ, ეფექტიან, ეკონომიურ, ეფექტიან, ეკონომ